საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 22 სექტემბრის №92 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის 22 სექტემბრის №92 სხდომაზე პროფ. ბორის ბოქოლიშვილმა წარმოადგინა საკითხი აკადემიკოს თეიმურაზ ლოლაძის სახელობის „სამეცნიერო სამუშაოთა საპრეზენტაციო დარბაზის“ პროექტის მოწონების და დაფინანსების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 9 სექტემბრის დადგენილება №1671.

სენატმა დაადგინა:

1. მოწონებულ იქნეს წინადადება აკადემიკოს თეიმურაზ ლოლაძის სახელობის „სამეცნიერო სამუშაოთა საპრეზენტაციო დარბაზის“ მოწყობასთან დაკავშირებით;

2. ეთხოვოს სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს უზრუნველყოს აღნიშნული წინადადების დადგენილი წესით ფინანსური მხარდაჭერა.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 22 სექტემბრის №92 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის 22 სექტემბრის №92 სხდომაზე პროფ. თამაზ ბაციკაძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-თან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე სამეცნიერო, სასწავლო, საწარმოო ,,სტუ – ეკოლოგიური დანადგარების“ ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 19 სექტემბრის დადგენილება №1682.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-თან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე სამეცნიერო, სასწავლო, საწარმოო ,,სტუ – ეკოლოგიური დანადგარების“ ცენტრის შექმნა და მისი დებულება.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 22 სექტემბრის №92 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის 22 სექტემბრის №92 სხდომაზე პროფ. თამაზ ბაციკაძემ წარმოადგინა საკითხი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს განთავსების მიზნით თბილისში ს. ეულის ქ. №3-ში მდებარე უძრავ ქონებაზე სარგებლობის უფლების გაუქმების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 19 სექტემბრის დადგენილება №1692.

სენატმა დაადგინა:

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2015 წლის 3 სექტემბრის (№74-01-1922) წერილის შესაბამისად, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს გაუუქმდეს სარგებლობის უფლება ქ. თბილისში სანდრო ეულის ქ. №3-ში მდებარე უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი №01.14.05.007.059);
2. დადგენილება ეცნობოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 22 სექტემბრის №92 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის 22 სექტემბრის №92 სხდომაზე პროფ. გიორგი სალუქვაძემ წარმოადგინა საკითხი „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური წოდების - ემერიტუსის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) **2014** წლის **15** ოქტომბრის ერთობლივი სხდომის **№19** დადგენილებაში (ცვლილება შეტანილია **29.10.2014** წ. დადგენილება **№1329, 25.07.2015** წ. დადგენილება **№1629)** ცვლილებების შეტანის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 18 სექტემბრის დადგენილება №1699.

სენატმა დაადგინა: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) **2014** წლის **15** ოქტომბრის ერთობლივი სხდომის **№19** დადგენილებით (ცვლილება შეტანილია **29.10.2014** წ. დადგენილება **№1329, 25.07.2015** წ. დადგენილება **№1629)** დამტკიცებულ ემერიტუსის მინიჭების წესში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და მე-**5** პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ემერიტუსის წოდების მქონე პირისათვის ანაზღაურების მიცემის საკითხს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში წყვეტს აკადემიური საბჭო შემდეგი წესით: უნივერსიტეტის პერსონალისათვის - ემერიტუსის წოდების მინიჭების მომენტისათვის დაკავებული თანამდებობის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, მოწვეული პროფესორი) შესაბამისი სარგოს არანაკლებ **50%** და არაუმეტეს **60%**-ისა, ხოლო თუ პირი

იმავდროულად არის ან იყო აკადემიური საბჭოს ან წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრი, რექტორი, ვიცე - რექტორი, წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) სპიკერი, რექტორის მოადგილე, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი), სამსახურის უფროსი, სამსახურის უფროსის მოადგილე, დეპარტამენტის უფროსი (დამხმარე სტრუქტურული ერთეული), დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, დეკანი, დეკანის მოადგილე ან აკადემიური დეპარტამენტის უფროსი (კათედრის გამგე), დაკავებული თანამდებობის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, მოწვეული პროფესორი) შესაბამისი სარგოს არაუმეტეს **80%**-ისა. ყველა სხვა შემთხვევაში, - ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობით საბჭო (სენატი).

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე